გორის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს

განკარგულება № 129

2023 წლის 14 ივლისი

ქ. გორი

ქ. გორში, მდინარე ლიახვზე არსებულ საავტომობილო ხიდზე სატვირთო მოძრაობის აკრძალვის, მიმდებარე ტერიტორიაზე სატვირთო ავტომობილებით მოძრაობის მიმართულების განსაზღვრისა და შესაბამისი საგზაო ნიშნების განთავსების შესახებ

ქალაქ გორში, მდინარე ლიახვზე არსებული საავტომობილო ხიდი, შესაბამისი დარგის სპეციალისტების აზრით არის დაზიანებული. აღნიშნული საკითხი შეისწავლა გორის მუნიციპალიტეტის მერიამ საქართველოს შსს-ს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლის მთავარ სამმართველოსთან ერთად და მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ აღნიშნულ ხიდზე დროებით აიკრძალოს სატვირთო მოძრაობა, განისაზღვროს მიმდებარე ტერიტორიაზე სატვირთო ავტომობილებით მოძრაობის მიმართულება და განთავსდეს შესაბამისი საგზაო ნიშნები: 3.4. „სატვირთო მოძრაობა აკრძალულია“, 7.15.1 და 7.15.2 „სატვირთო ავტომობილით მოძრაობის მიმართულება“.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო მიზანშეწონილად მიიჩნევს მოძრაობის ორგანიზებისა და უსაფრთხო მოძრაობის უზრუნველყოფის მიზნით, ქ. გორში, მდინარე ლიახვზე არსებულ საავტომობილო ხიდზე დროებით აიკრძალოს სატვირთო მოძრაობა, განისაზღვროს მიმდებარე ტერიტორიაზე სატვირთო ავტომობილებით მოძრაობის მიმართულება და განთავსდეს შესაბამისი საგზაო ნიშნები: 3.4. „სატვირთო მოძრაობა აკრძალულია“, 7.15.1 და 7.15.2 „სატვირთო ავტომობილით მოძრაობის მიმართულება“.

საგზაო ნიშნების განთავსების სიტუაციური სქემის პროექტი შეთანხმებულია საქართველოს შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლის მთავარ სამმართველოსთან.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. ქ. გორში, მდინარე ლიახვზე არსებულ საავტომობილო ხიდზე აიკრძალოს სატვირთო მოძრაობა, განისაზღვროს მიმდებარე ტერიტორიაზე სატვირთო ავტომობილებით მოძრაობის მიმართულება და თანდართული სიტუაციური სქემების შესაბამისად განთავსდეს შემდეგი საგზაო ნიშნები:

ა) 3.4. „სატვირთო მოძრაობა აკრძალულია“;

ბ) 7.15.1 „სატვირთო ავტომობილით მოძრაობის მიმართულება“;

გ) 7.15.2 „სატვირთო ავტომობილით მოძრაობის მიმართულება“.

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**

ძებნი სიტყვა
7.15.1,2 - სატვირთო ავტომობილით მოძღაობა პირდაპირ და მარჯვნივ.
7.15.2 - სატვირთო ავტომობილით მოძრაობა მარჯვნივ
3.4 -სატვირთო მოძრაობა აკრძალულია
3.4 - სატვირთო მოძრაობა აკრძალულია
66.05.06.0747
66.45.27.181
66.05.06.075
66.45.27.076
66.45.27.111
66.45.15.022
66.45.17.427
66.45.27.234
66.45.27.053
66.45.27.090
66.45.27.186
66.05.06.156
66.45.27.262
66.45.27.051
66.45.27.056
66.45.27.041
66.45.27.270
66.45.27.089
66.45.27.060
66.45.27.021
66.45.27.112
66.45.27.092
66.45.26.366
66.45.27.122
66.00.017
66.00.022
66.00.088
66.00.132
NAPR

7.15.1 – სატვირთო ავტომობილის მოძრაობა პირდაპირ.
3.4 – სატვირთო მოძღაობა აკრძალულია